



საგანმანათლებლო პროგრამა

შეთანხმულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
ოქმი №8, „7“ „ივლისი“, 2017 წელი
სამსახურის უფროსი /დოქტ. დიანა მჭედლიშვილი/

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
ოქმი №15, „11“ „ივლისი“, 2017 წელი
ფაკულტეტის დეკანი /პროფ. დოქტ. თამარ შიოშვილი/

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე
ოქმი №9, „22“ „აგვისტო“, 2017 წელი
რექტორი /პროფ. დოქტ. ილიას ჩილოღლუ/

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების ადმინისტრირება

თბილისი
2017 წელი



საგანმანათლებლო პროგრამა

მიმართულება: 03 განათლება

დარგი / სპეციალობა: 0301 განათლების მეცნიერებები

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ზოგადი განათლების ადმინისტრირება / General Education Administration

ფაკულტეტი: განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ): ნიკოლოზ ფარჯანაძე, პროფესორი, დოქტორი

მობილური: +995 558 902 185

ელ. ფოსტა: nparjanadze@ibsu.edu.ge nickparjanadze@yahoo.com

განათლების საფეხური: მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების II საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი განათლების ადმინისტრირებაში (Master of Education in Education Administration)

კვალიფიკაციის კოდი: 030108

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS კრედიტი



საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტრუქტურა: პროგრამის დასასრულებლად სტუდენტმა უნდა აითვისოს 120 კრედიტი (ECTS). სასწავლო კურსების უმრავლესობა სავალდებულოა - 8-კრედიტიანი 5, 10-კრედიტიანი 1 და 6-კრედიტიანი 2 სასწავლო კურსი - სულ 62 კრედიტი, და მე-3 სემესტრში გათვალისწინებული 10-კრედიტიანი სავალდებულო კომპონენტი - პრაქტიკა. პროგრამის სავალდებულო კომპონენტების (სამაგისტრო ნაშრომის გარდა) მოცულობაა 72 კრედიტი. პროგრამაში მოცემულია 7 არჩევითი სასწავლო კურსი თითოეული 6 კრედიტის ოდენობით, რომელთაგან სტუდენტებმა უნდა აირჩიონ 3 - სულ 18 კრედიტი. სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების საერთო მოცულობა არის 90 კრედიტი. სამაგისტრო პროგრამის მე-4 სემესტრში სტუდენტი წერს და იცავს სამაგისტრო ნაშრომს, რომელსაც 30 კრედიტი ეთმობა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე).

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B2 დონე). მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაზე სწავლების ენა არის ქართული, მნიშვნელოვანია, სტუდენტს გააჩნდეს ინგლისური ენის კომპეტენცია, რადგან განათლების ადმინისტრირების სფეროს მნიშვნელოვან საკითხებზე სამეცნიერო ლიტერატურა შედარებით მწირია; შესაბამისად, აუცილებელია, რომ სტუდენტმა მოახერხოს ინგლისურ ენაზე არსებული უახლესი მასალის გაცნობა.

ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად ან აქვთ ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL IBT, IELTS და FCE).



საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

ზოგადი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- მისცეს სტუდენტს ზოგადი განათლების სფეროს შესახებ ცოდნა და ზოგადი განათლების ადმინისტრირების სათანადო კვალიფიკაცია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;
- მისცეს სტუდენტს განათლების სფეროს (პედაგოგიური) ცოდნა და უნარ-ჩვევები, რადგან საგანმანათლებლო პროცესის ადმინისტრატორი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც ფლობს არა მარტო პროცესების მართვისათვის აუცილებელ ცოდნას, არამედ ღრმად იცნობს სასწავლო კონტექსტს და სწავლების მეთოდოლოგიასა და მიდგომებს;
- მოამზადოს განათლების სფეროს ადმინისტრატორი, რომელიც იცნობს როგორც ზოგადპედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს, ასევე განათლების ადმინისტრირების კონკრეტულ საკითხებს - განათლების სფეროს ლიდერობა და ადმინისტრირება, საგანმანათლებლო პოლიტიკა და ზოგადი განათლების სისტემის მართვის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება;
- სტუდენტებს გააცნოს ზოგადი განათლების სფეროს შესახებ არსებული საერთაშორისო გამოცდილება, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მთლიანად კონცენტრირებულია საქართველოს კონტექსტზე, თანამედროვე სამყაროში ხშირია საგანმანათლებლო პოლიტიკისა და ინიციატივების სესხება-ადაპტირება (საქართველო არ არის გამონაკლისი ამ თვალსაზრისით); შესაბამისად, ცალკეული კონტექსტის შესწავლა უზრუნველყოფს კონკრეტული საგანმანათლებლო მიდგომების უკეთ გააზრებას. საერთაშორისო გამოცდილება ეხმარება განათლების სფეროს პროფესიონალებს დროული და ეფექტიანი საგანმანათლებლო სტრატეგიების, მიდგომებისა და ინიციატივების შემუშავებაში;
- სტუდენტს გაუღვივოს სწავლის შემდეგ ეტაპზე (დოქტორანტურაში) გაგრძელების სურვილი. ამისათვის კი საჭიროა გარკვეული თეორიული ბაზისის (პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, განათლების ადმინისტრირების) შექმნა, რაც უზრუნველყოფილია მთელ რიგ სასწავლო კურსებში;
- აღჭურვოს სტუდენტი სათანადო ცოდნით და უნარ-ჩვევებით, რათა იმუშაოს სკოლის ადმინისტრაციაში და ზოგადი განათლების მართვისა და ორგანიზების პროცესზე პასუხისმგებელ სხვადასხვა დაწესებულებაში;
- სტუდენტს ჩამოუყალიბოს ღირებულებები, რომელთა შესაბამისად სტუდენტს უვითარდება ზოგადი განათლების ადმინისტრირების სფეროს კვლევისა და პრაქტიკული მუშაობის მიმართ ღრმა ინტერესი, ჰუმანისტური და სტუდენტზე ორიენტირებული პედაგოგიკის პრინციპებისადმი პატივისცემა.



საგანმანათლებლო პროგრამა

სწავლის შედეგი: პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ ზოგადი განათლების სფეროს ცოდნა და გაცნობიერება - საქართველოს ზოგადი განათლების სტრუქტურისა და მისი სპეციფიკის ცოდნა, საკანონმდებლო ბაზის ცოდნა, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სასწავლო პროცესში გასათვალისწინებელი საკითხების ცოდნა; ✓ ზოგადი განათლების ადმინისტრირების სპეციფიური საკითხების ცოდნა და გაცნობიერება - სასწავლო პროცესის ყოველდღიური ადმინისტრირებისათვის აუცილებელი სათანადო ცოდნა, სკოლის განვითარებისათვის აუცილებელი სტრატეგიული დაგეგმარების პროცესისა და კომპონენტების ცოდნა; ✓ განათლების ადმინისტრირების, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ტერმინოლოგიისა და არსის ცოდნა და გაცნობიერება; ✓ განათლების ლიდერობისა და ადმინისტრირების თეორიების ცოდნა და გაცნობიერება; ✓ განათლების დარგის ტერმინოლოგიის ცოდნა ინგლისურად, რათა სტუდენტი გაეცნოს ინგლისურ ენაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას და შესაბამისად, საერთაშორისო გამოცდილებას; ✓ საჭირო ელექტრონული პროგრამების ცოდნა (PowerPoint, Microsoft Word, Excel, EndNote, Zotero).
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ მიღებულ თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით სფეროსათვის დამახასიათებელი სპეციფიური პრობლემების გადაჭრის უნარი - სასწავლო გარემოს განათლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობა-ორგანიზება, ეროვნული სასწავლო გეგმის გააზრება და პრაქტიკაში რეალიზება; ✓ თეორიული მსჯელობის პრაქტიკული მაგალითებით განმტკიცების უნარი; ✓ საჭიროების შემთხვევაში კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და მისი განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით - უნარი ჩაატაროს კვლევა კონკრეტულ სასწავლო გარემოში, რომლის მიზანია ყოველდღიური სასწავლო პრაქტიკის კვლევა ცალკეული აკადემიური კომპონენტების გაუმჯობესების მიზნით.
<p>დასკვნის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ ინდუქციისა და დედუქციის, ასევე ანალოგიების ანალიზის გამოყენება ზოგადი განათლების სპეციფიურ



საგანმანათლებლო პროგრამა

	<p>საკითხების შესახებ დასკვნების გაკეთების პროცესში;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ანალიტიკური უნარი, რაც უზრუნველყოფს ინფორმირებული დასკვნების გაკეთებას, რომლებიც ეფუძნება კონკრეტულ ინფორმაციასა და მონაცემებს; ✓ განათლების სფეროს მნიშვნელოვანი საკვლევი საკითხების შესახებ დასკვნების გაკეთების უნარი; ✓ ზოგადი განათლების სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრისათვის აუცილებელი გზების განსაზღვრის უნარი; ✓ საკუთარი აზრის შესწავლილ მასალაზე დაყრდნობით არგუმენტირების უნარი; ✓ თანმიმდევრული მსჯელობისა და ანალიზის საფუძველზე დასკვნების გაკეთების უნარი; ✓ საქართველოსა თუ საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთებისა და განმტკიცების უნარი.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ საკუთარი აზრის გამოხატვისა და დასაბუთების, ლოგიკური მსჯელობის უნარი; ✓ ინფორმაციის, მოსაზრებებისა და დასკვნების სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის თანმიმდევრულად გადაცემის უნარი; ✓ ინფორმაციის გადაცემისას (პრეზენტაციები, მოხსენებები, პროექტისა თუ კვლევის შედეგების გაცნობა) თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ნაყოფიერად გამოყენების უნარი; ✓ წერილობითი თუ ზეპირსიტყვიერი, ფორმალურ (მაგ. ანგარიში, მოხსენება) თუ არაფორმალურ კონტექსტში აზრის ნათლად და თანმიმდევრულად გადმოცემის უნარი; ✓ ინტერაქტიული კომუნიკაციისათვის სათანადო გარემოს შექმნისა და ამგვარ კონტექსტში აუდიტორიის ჩართვის უნარი;



საგანმანათლებლო პროგრამა

	<ul style="list-style-type: none"> ✓ პროფესიული ტერმინოლოგიის სწორად და თანმიმდევრულად გამოყენების მეშვეობით აზრების ნათლად გადმოცემის უნარი.
<p>სწავლის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ საკუთარი სწავლის ეფექტიანად დაგეგმვისა და გაძღვლის უნარი; ✓ სწავლის პროცესის შექმნილი გარემოებების შესაბამისად ორგანიზების უნარი; ✓ მეტი ეფექტურობის მისაღწევად დროის გადანაწილების უნარი; ✓ აკადემიურ პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების უნარი (სტუდენტის უნარი ინფორმაცია მოიპოვოს სხვადასხვა წყაროდან - ინტერნეტი, ბიბლიოთეკა, აკადემიური მონაცემთა ბაზები, როგორცაა მაგ. ERIC, EBSCO, Google Scholar) სწავლისა და კვლევის წარმოების მიზნით; ✓ მასალის დამახსოვრების სტრატეგიები; ✓ თვით-შეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარი.
<p>ღირებულებები</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ ახალი, პრაქტიკული და თეორიული ცოდნის მოპოვებისაკენ მისწრაფება და კვლევისადმი ინტერესი; ✓ აკადემიური პატიოსნება; ✓ თანამედროვე ქართული საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეთიკური და მორალური ღირებულებების პატივისცემა; ✓ განათლების სფეროს მორალისა და ეთიკის პატივისცემა; ✓ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა; ✓ ტოლერანტობა და შესასწავლი თუ სხვათა კულტურის თავისებურებების გაგებისა და პატივისცემის აუცილებლობის შეგრძნება; ✓ პროფესიული ზრდისა და განვითარების აუცილებლობის გაგება-გააზრება.



საგანმანათლებლო პროგრამა

სწავლის შედეგების რუკა:

№	სასწავლო კურსი / მოდული / პრაქტიკა/კვლევითი კომპონენტი	კომპეტენციების ჩამონათვალი					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	კვლევის მეთოდები	X	X	X	X	X	X
2	პროექტის მართვა	X	X	X	X	X	
3	სკოლის ადმინისტრირება	X	X	X	X	X	X
4	ზოგადი განათლების ფინანსური საკითხები	X	X	X		X	
5	ზოგადი განათლების საკანონმდებლო ბაზა	X	X	X	X	X	X
6	განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და შეფასება ზოგად განათლებაში	X	X	X	X	X	X
7	პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
8	განათლების მეცნიერება	X	X	X	X	X	X



საგანმანათლებლო პროგრამა

9	ზოგადი განათლების პოლიტიკა და სოციოლოგია	X	X	X	X	X	X
10	ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები განათლებაში	X	X		X	X	
11	ადამიანური რესურსების მართვა	X	X	X	X	X	X
12	განათლების ლიდერები და ადმინისტრაციული საკითხები	X	X	X	X	X	X
13	გლობალური განათლება და ქართული განათლების ისტორია	X	X	X		X	X
14	სპეციალური საჭიროებების ბავშვების განათლება	X	X	X	X	X	X
15	ინგლისური ენა განათლების სფეროს პროფესიონალებისათვის	X	X	X	X	X	
16	განათლების ფსიქოლოგია	X	X	X	X	X	X
17	სამაგისტრო ნაშრომი	X	X	X	X	X	X



საგანმანათლებლო პროგრამა

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

ლექცია - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.

სამუშაო ჯგუფში მუშაობა - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქვისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.

პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქვისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

სემინარი - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინაციას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.

დამოუკიდებელი მუშაობა - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანეოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.



საგანმანათლებლო პროგრამა

აღნიშნული სწავლა/სწავლების მეთოდების განხორციელება ხდება შემდეგი აქტივობების გამოყენებით:

პრეზენტაცია (ლექტორის მიერ) – იგულისხმება თხრობა და საუბარი, რომლის დროსაც ინფორმაცია გადაეცემა პედაგოგიდან სტუდენტს. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ. მნიშვნელოვანია ლექტორის მიერ ინფორმაციის სწორი აღქმისა და გაგების უზრუნველყოფა და გადამოწმება. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი ინსტრუქციების მიცემა. ლექტორი იძლევა კონკრეტულ მაგალითებსა და დეტალურ განმარტებებს.

დემონსტრირება – დემონსტრირების დროს ინფორმაციის ვიზუალური წარმოდგენა. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია, რადგან ითვალისწინებს სტუდენტის სხვადასხვა ტიპის ინტერესებს. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალის ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიწოდება. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

ინდუქცია - ინდუქციის მთავარი მიზანია კონკრეტული ფაქტებისა და შემთხვევების განზოგადებაზე დაყრდნობით სტუდენტმა აღმოაჩინოს და ჩამოაყალიბოს ზოგადი პრინციპები თუ საფუძვლები, რომელთა ჭრილობა შესაძლებელია პროცესების განხილვა და მოვლენების ახსნა. სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქცია - სწავლა-სწავლების ტრადიციული მიდგომა, სადაც ლექტორი არის ინფორმაციის მთავარი წყარო და მისი ხელმძღვანელობით სტუდენტები ეცნობიან ზოგად თეორიებს; შედეგად კი, მათი მეშვეობით ცდილობენ ლოგიკისა და ანალიზის დახმარებით მოიძიონ კონკრეტული მაგალითები, მიიღონ ცოდნა და გამოიმუშაონ სათანადო უნარ-ჩვევები. დედუქცია განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ მასალის გადმოცემის თვალსაზრისით, პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისკენ.

ანალიზი - თანამედროვე სამყაროში მრავალი სამეცნიერო დისციპლინა კომპლექსური გახდა; შესაბამისად, მათი შემსწავლელი კურსებიც მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. ანალიზის მეთოდი კი გვეხმარება როგორც მულტიდისციპლინარული, ასევე ინტერდისციპლინარული კურსების მასალის შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. მოცემული მიდგომა შესაძლებელს ხდის შესასწავლი საკითხის ცალკეულ ასპექტებად დანაწევრებას; ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.



საგანმანათლებლო პროგრამა

სინთეზი - მისი მიზანია ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანი მიდგომის შედგენა. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

შემთხვევების შესწავლა (case study) - აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზი, რომელიც გულისხმობს კონკრეტული სფეროდან აღებული რეალური, პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვით სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა მრავალმხრივ შეისწავლოს საკითხის არსი, გააანალიზოს პრობლემის გადაჭრის შესაძლო მიდგომები და საშუალებები და მოიძიოს, აირჩიოს და დაასაბუთოს მოქმედების კონკრეტული სტრატეგიები, მიზნები და მოსალოდნელი შედეგები. „შემთხვევა“ (ქეისი) წარმოადგენს კონტექსტს და იგი თავად არის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა კონკრეტული სასწავლო კურსის მსვლელობისას მიღებული ცოდნა სტუდენტმა გამოიყენოს პრაქტიკაში, ანუ რეალურ შემთხვევასთან მიახლოებულ გარემოში.

გონებრივი იერიში (brain storming) - იგულისხმება კონკრეტულ საკითხზე მრავალრიცხოვანი, განსხვავებული მოსაზრებების ჩამოყალიბება. იგი ხელს უწყობს შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, როდესაც სტუდენტები ცდილობენ საკითხის მრავალმხრივ დანახვას და დეტალურად განხილვას. მოცემული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჯგუფის ყოველი წევრის მაქსიმალურ ჩართულობას. იგი განსაკუთრებით ეფექტურია მრავალრიცხოვანი ჯგუფის კონტექსტში.

დისკუსია / დებატები - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალება. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსიის მსვლელობისას ხდება სხვადასხვა მოსაზრების დაპირისპირება და პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ შეკითხვების დასმით. საბოლოო მიზანი ასევე არის განსხვავებული აზრების შეჯერება. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

პროექტი - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

პრეზენტაცია (სტუდენტის / სტუდენტების მიერ) - თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით პრეზენტაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ინტერაქტიულ და, თვალსაჩინოების კუთხით, ყველაზე ეფექტურ მიდგომას. იგი არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა,



საგანმანათლებლო პროგრამა

რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის და მიღებული შედეგების პრეზენტაციის პირობებში. იგი ამაღლებს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მოტივაციას, ასევე, ავითარებს კონკრეტულ უნარ-ჩვევებს - დაგეგმვა, კვლევის ჩატარება და მონაცემებისა თუ არგუმენტების თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად წარმოდგენა. იგი ასევე ავითარებს ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად მუშაობის უნარს.

ელექტრონული საშუალებებით სწავლება - გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს, რომელთა რეალიზება ხდება ინტერნეტისა და მულტიმედიური სპეციფიკური საშუალებებით.

პრობლემების გადაჭრა - აქტივობა, რომელიც სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა კონკრეტული პრობლემის შესწავლის, ანალიზისა და გადაჭრის გზით. მისი გამოყენებისას მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს პრობლემის გადაჭრით მიღებული შედეგების შეფასებასა და ანალიზს. ამ მეთოდის გამოყენებით სტუდენტს უვითარდება ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი.

ჯგუფური მუშაობა - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ინდივიდუალური მუშაობა - სასწავლო პროცესით განსაზღვრულ აქტივობებზე და სასწავლო პრცესში მიღებულ დავალებებზე სტუდენტის ინდივიდუალურად მუშაობა.

წიგნზე მუშაობა - სწავლის პროცესში აქტიურად გამოიყენება სწავლა/სწავლების საშუალება, რომლის დროსაც სტუდენტი ამუშავებს მასალას მიცემული ლიტერატურისა და სხვა წყაროების გამოყენებით.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა - იგულისხმება ახალი ცოდნის მიღებისა და შემენილი ცოდნისა და სპეციფიური უნარ-ჩვევების ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად დარგიდან ან სფეროდან აღებული კონკრეტულ პრობლემების გამოყენება.

პრეზენტაციის მომზადება - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა, რომლის დროსაც ხდება კონკრეტული საკითხისა თუ თემის შესწავლა და ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, როგორცაა დაგეგმვა, კვლევის ჩატარება, მონაცემებისა თუ არგუმენტების დამუშავება, ანალიზი და დამაჯერებლად წარმოდგენა. იგი ავითარებს სტუდენტის ინდივიდუალურად მუშაობის უნარს.



საგანმანათლებლო პროგრამა

პროექტის მომზადება - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა, რომლის დროსაც ხდება სტუდენტის მიერ პროექტის მომზადება. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეულ საკითხთან დაკავშირებით. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი.

საშინაო დავალების შესრულება - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა, რომლის დროსაც ხდება სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესით განსაზღვრული და სასწავლო პროცესში მიღებული საშინაო დავალებების შესრულება. საშინაო დავალების შესრულება გულისხმობს სასწავლო პროცესით გათვალისწინებული მასალის წაკითხვა, დამუშავებასა და შესწავლას ასევე მიღებული დავალებების წერილობით შესრულებას ან ზეპირ ფორმით წარმოდგენას.

ელექტრონული საშუალებებით სწავლა - გულისხმობს სწავლას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლის პროცესის ყველა კომპონენტს, რომელთა რეალიზება ხდება ინტერნეტისა და მულტიმედიური სპეციფიკური საშუალებებით.



საგანმანათლებლო პროგრამა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. საბოლოო შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შუალედური შეფასებები განისაზღვრება მაქსიმუმ 60 ქულით და დასკვნითი შეფასება - მაქსიმუმ 40 ქულით.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას

- 1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;
- 2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
- 3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;
- 4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;
- 5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას

- 1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- 2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის განსაზღვრულია მინიმალური გამსვლელი ქულა. დასკვნითი შეფასების მინიმალური გამსვლელი ქულა არ უნდა აღემატებოდეს დასკვნით შეფასების 60%-ს. შუალედური და დასკვნითი ქულების გადანაწილება, მინიმალური კომპეტენციის დონე და შეფასების კრიტერიუმები აღწერილია შესაბამის სილაბუსებში.



საგანმანათლებლო პროგრამა

კრედიტის მინიჭება შესაძლებელია:

- ა) შუალედური და დაკვნიტი შეფასებებისათვის მინიმალური კომპეტენციის დონის მიღწევა;
- ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას იღებს თუკი საბოლოო ქულა მიიღო 40-დან 50-მდე, ანუ მიიღო 51 ქულა, მაგრამ ვერ დაძლია დასკვნითი შეფასებისათვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის დონე.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

შეფასების საშუალებები შემდეგია:

- ✓ ტესტი/ქვიზი/საკონტროლო წერა;
- ✓ საკლასო მუშაობა/კლასში აქტიურობა;
- ✓ საშინაო დავალება;
- ✓ დისკუსია;
- ✓ ზეპირი გამოკითხვა;
- ✓ წერითი გამოკითხვა;
- ✓ ესე;
- ✓ სემინარი;
- ✓ პრეზენტაცია;
- ✓ ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი;
- ✓ შუალედური და დასკვნითი გამოცდა.



საგანმანათლებლო პროგრამა

შეფასების კომპონენტებს შორის, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, არის სისწორე, სიზუსტე, სისრულე, თეორიული დასაბუთების, პრაქტიკული მაგალითებისა და გამოყენებული ტერმინოლოგიის ადეკვატურობა, დისკუსიებში მონაწილეობის ხარისხი და არგუმენტების ლოგიკურობა.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები:

სამაგისტრო პროგრამისათვის გათვალისწინებული 120 კრედიტი (ECTS) (3000 სთ.) გადანაწილებულია ორ აკადემიურ წელზე, ოთხ სემესტრზე და თითოეული სემესტრის განმავლობაში სტუდენტი იღებს 30 კრედიტს თითოეულ სემესტრში.

კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემა (ECTS): 1 კრედიტი = 25 სთ., რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. ერთი აკადემიური წელი შედგება 38 კვირისაგან და აქედან 15 კვირა (შუალედური გამოცდის ჩათვლით) ეთმობა ლექციებს. დასკნით გამოცდა ტარდება მე-17-19 კვირაში.

სასწავლო კურსების უმეტესობა სავალდებულოა (სულ 62 კრედიტი), ხოლო მესამე სემესტრში სტუდენტი გადის პრაქტიკას (10 კრედიტი); დამამთავრებელ სემესტრში გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და საჯარო დაცვა, რომელიც მოიცავს 30 კრედიტს.

სპეციალობის არჩევითი კომპონენტით გათვალისწინებული 18 კრედიტიდან სტუდენტს შეუძლია 6 კრედიტი აითვისოს როგორც თავისუფალი კრედიტები და ამ კრედიტების ფარგლებში იგი უფლებამოსილია აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურს(ებ)ი უნივერსიტეტის მაგისტრატურის საფეხურიდან. ბოლო, მე-4 სემესტრში სტუდენტი წერს სამაგისტრო ნაშრომი და საჯაროდ იცავს მას.

დასაქმების სფერო:

ადმინისტრაციული მუშაკი განათლების სფეროში - სკოლის საშუალო და ზედა რგოლის ადმინისტრატორი, დაწყებითი და საშუალო სკოლის დირექტორი, საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული პერსონალი. კურსდამთავრებულს შეუძლია იმ სამთავრობო თუ არა-სამთავრობო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში დასაქმება, რომლებიც მუშაობენ განათლების საკითხებზე. ასევე, არის დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების პერსპექტივა.



საგანმანათლებლო პროგრამა

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულ მუშაობას:

- ✓ პროექტორებით და სხვა სასწავლო რესურსით აღჭურვილი აუდიტორიები;
- ✓ უწყვეტი ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრი;
- ✓ თანამედროვე ტექნოლოგიებით, ინტერნეტით და მდიდარი ბეჭდური და ელექტრონული წიგნების ფონდით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- ✓ უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზაში (Smart) სასწავლო კურსების გახსნისას ლექტორების მიერ განთავსებული სასწავლო თემატიკის შესაბამისი სლაიდები;
- ✓ უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სხვა მატერიალური რესურსი.
- ✓ სტუდენტებისათვის გამოყოფილი სამეცადინო ფართი.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.



საგანმანათლებლო პროგრამა

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:

#	სასწავლო კურსის დასახელება	ლექტორის სახელი და გვარი	ლექტორის კვალიფიკაცია
1	კვლევის მეთოდები	ქეთევან სიხარულიძე	ასოც. პროფ. დოქტ. (ფილოლოგია)
		ნიკოლოზ ფარჯანაძე	პროფ. დოქტ. (ფილოლოგია)
2	განათლების მეცნიერება	ნათელა დოლონაძე	პროფ. დოქტ. (განათლება)
		მანანა ჩქოტუა	ასოც. პროფ. დოქტ. (განათლება)
3	პროექტის მართვა	გოდერძი ბუჩაშვილი	ასოც. პროფ. დოქტ. (განათლება)
4	სკოლის ადმინისტრირება	ნინო თვალჭრელიძე	დოქტ. ასისტენ- პროფესორი (განათლება)
		ნინო წერეთელი	მოწვეული ლექტორი, მაგისტრი
5	ზოგადი განათლების ფინანსური საკითხები	თამარ კაკუტია	მოწვეული ლექტორი, დოქტორი (განათლება)
		მანანა თურქაძე	მოწვეული ლექტორი, მაგისტრი
6	ზოგადი განათლების საკანონმდებლო ბაზა	მარიამ ბანძელაძე	დოქტ., მოწვეული ლექტორი (განათლება)
		ნინო ბერელიძე	მოწვეული ლექტორი, მაგისტრი



საგანმანათლებლო პროგრამა

7	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და შეფასება ზოგად განათლებაში	დიანა მჭედლიშვილი	ასოც. პროფ. დოქტ. (განათლება)
8	პრაქტიკა	ნინო ბალანჩივაძე	მოწვეული ლექტორი, დოქტორი (განათლება)
9	ზოგადი განათლების პოლიტიკა და სოციოლოგია	ნიკოლოზ ფარჯანაძე	პროფ. დოქტ. (ფილოლოგია)
		ლია გუმბერიძე	მოწვეული ლექტორი, მაგისტრი
10	ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	ნინო ბიჭვინაშვილი	მოწვეული ლექტორი, მაგისტრი
11	ადამიანური რესურსების მართვა	გოდერძი ბუჩაშვილი	ასოც. პროფ. დოქტ. (განათლება)
12	განათლების ლიდერები და ადმინისტრაციული საკითხები	ნინო წერეთელი	მოწვეული ლექტორი, მაგისტრი
		ნინო ბერელიძე	მოწვეული ლექტორი, მაგისტრი
13	გლობალური განათლება და ქართული განათლების ისტორია	ნინო ბალანჩივაძე	მოწვეული ლექტორი, დოქტორი (განათლება)
14	სპეციალური საჭიროებების ბავშვების განათლება	შორემა კუჭუხიძე	მოწვეული ლექტორი, დოქტორი (განათლება)
15	ინგლისური ენა განათლების სფეროს პროფესიონალებისათვის	ეკატერინე ფიფია	პროფ. დოქტ. (ჰუმანიტარული მეცნიერება)
16	განათლების ფსიქოლოგია	შორენა კუჭუხიძე	მოწვეული ლექტორი, დოქტორი (განათლება)
17	სამაგისტრო ნაშრომი	ვაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორი	



საგანმანათლებლო პროგრამა

სასწავლო გეგმა

სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით				საათების განაწილება								
			I ს.წ.		II ს.წ.		საკონტაქტო					დამოუკიდებელი მუშაობა	ჯამური საათები	საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში	
			I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	ლექცია	ჯგუფური მუშაობა/ პრაქტიკული სამუშაო/სემინარი	შუალედური გამოცდ(ა/ები)	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო				
სასწავლო კომპონენტი	სავალდებულო/ აარჩევითი	90	30	30	30		246	329	23	27	627	1623	2250		
სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	სავალდებულო	72	24	24	24		202	291	17	18	528	1272	1800		
სკოლის ადმინისტრირება	სავალდებულო	8	8				27	16	2	2	47	153	200	3	
ზოგადი განათლების საკანონმდებლო ბაზა	სავალდებულო	8	8				28	15	2	2	47	153	200	3	



საგანმანათლებლო პროგრამა

განათლების მეცნიერება	სავალდებულო	8	8				29	13	3	3	48	152	200	3
კვლევის მეთოდები განათლებაში	სავალდებულო	10		10			28	30	2	3	63	187	250	4
სპეციალური საჭიროებების ბავშვების განათლება	სავალდებულო	6		6			15	13	2	2	32	118	150	2
განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და შეფასება ზოგად განათლებაში	სავალდებულო	8		8			28	15	2	2	47	153	200	3
განათლების ლიდერები და ადმინისტრაციული საკითხები	სავალდებულო	8			8		28	15	2	2	47	153	200	3
პრაქტიკა	სავალდებულო	10			10			150			150	100	250	4
ზოგადი განათლების ფინანსური საკითხები	სავალდებულო	6			6		19	24	2	2	47	103	150	3
სპეციალობის სასწავლო კურსები	არჩევითი	18	6	6	6		45	39	6	9	99	351	450	4
ადამიანური რესურსები მართვა	არჩევითი	6	6				15	13	2	3	33	117	150	2
პროექტის მართვა	არჩევითი	6	6				15	13	2	3	33	117	150	2
ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები განათლებაში	არჩევითი	6		6			15	13	2	3	33	117	150	2



საგანმანათლებლო პროგრამა

ინგლისური ენა განათლების სფეროს პროფესიონალებისათვის	არჩევითი	6		6			15	13	2	2	32	118	150	2
განათლების ფსიქოლოგია	არჩევითი	6		6			15	13	2	2	32	118	150	2
ზოგადი განათლების პოლიტიკა და სოციოლოგია	არჩევითი	6			6		15	13	2	3	33	117	150	2
გლობალური განათლება და ქართული განათლების ისტორია	არჩევითი	6			6		18	10	2	2	32	118	150	2
სავალდებულო კვლევითი კომპონენტი	სავალდებულო	30				30	30	-	-	-	30	720	750	2
სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	30				30	30	-	-	-	30	720	750	2



საგანმანათლებლო პროგრამა

შენიშვნა: რადგან არჩევით სასწავლო კურსებს არ აქვთ საათების ერთნაირი განაწილება მათი ჯამური საათების დაანგარიშებისას აღებულია პირველ გრაფაში მითითებული სასწავლო კურსის მონაცემები.

სასწავლო გეგმის დამატებითი ცხრილი და ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

№	სასწავლო კურსი/ პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტი	კოდი	სემესტრი	წინაპირობა	ლექტორი	ძირითადი ლიტერატურა
1	კვლევის მეთოდები	350132 GEA106	II	არ არის	ქეთევან სიხარულიძე - ასოც. პროფ. დოქტ. (ფილოლოგია) ნიკოლოზ ფარჯანაძე - პროფ. დოქტ. (ფილოლოგია)	<ol style="list-style-type: none"> 1. კოპენი, ლ., მანიონი, ლ., მორისონი, ქ. (2007). კვლევის მეთოდები განათლებაში. მეექვსე გამოცემა. ნიუ იორკი. Routledge Publications. (ინგლისურიდან ნათარგმნი) 2. ქ. გოჩიტაშვილი, გ. შაბაშვილი, ნ. შარაშენიძე, აკადემიური წერა, თბ., 2014. 3. ნ. დოლონაძე, კვლევის მეთოდები, თბილისი-თელავი, 2009
2	განათლების მეცნიერება	350129 GEA103	I	არ არის	ნათელა დოლონაძე - პროფ. დოქტ. (განათლება) მაია ჩქოტუა, ასოც. პროფ.	<ol style="list-style-type: none"> 1. შ. მალაზონია. (2001). პედაგოგიკა. თბილისი. - ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში 2. მ.მინდაძე (2009). რჩევა დამწყები მასწავლებლისთვის <i>მასწავლებელი</i> #1, გვ. 37-40 ხელმისაწვდომია ინტერნეტზე http://issuu.com/tkvintradze/docs/maszavlebeli-1 3. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი - ხელმისაწვდომია ინტერნეტზე www.ganatileba.ge/upload/text/geo/1252764579_mascavleblis%20... · PDF



საგანმანათლებლო პროგრამა

				<p>დოქტ. (განათლება)</p>	<ol style="list-style-type: none"> 4. ჯ.თერნული. (2009). პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი. კონტინუუმი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. გვ. 2-6, ხელმისაწვდომია ინტერნეტზე http://www.tpdg.ge/images/stories/9maxasiatebeli.pdf 5. გამოცდების ეროვნული ცენტრი. (2008). როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის. პროფესიული უნარები. თბილისი. - ხელმისაწვდომია ინტერნეტზე http://www.mes.gov.ge/upload/editor/file/Brdzanebebi/2009/Ivnisi/841.pdf 6. თ.გაგომიძე, თ.ჭინჭარაული, ქ.ფილაური, მ.ბაგრატიონი. (2008). ინკლუზიური განათლების პრინციპები. თბილისი: ნეკერი. ხელმისაწვდომია ინტერნეტზე www.osgf.ge/files/publications/2009/gagoshidza-2008-bolo... · PDF file 7. ნ.ჯანაშია, ნ.იმედაძე, ს. გორგოძე. (2008). განვითარებისა და სწავლების თეორიები. თბილისი - ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ინტერნეტზე www.tsu.edu.ge/data/file_db/saswavlo/mascavleblis%20profesiuli%20... · PDF file 8. სასკოლო განათლების 4 მიზანი. - ხელმისაწვდომია ინტერნეტზე http://rcs.ge/?p=760 9. ნ.ჭაჭიაშვილი. სასკოლო განათლების სისტემის კონცეფცია - კრიტიკა და წინადადებები. ხელმისაწვდომია ინტერნეტზე http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/114202/ 10. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. ხელმისაწვდომია ინტერნეტზე www.mes.gov.ge/old/upload/publication/geo/1192002089... · PDF file 11. მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია. (2006). ხელმისაწვდომია ინტერნეტზე http://www.mes.gov.ge/upload/publication/geo/1192002260 !ProfesiuliGanvitarebisKoncepti a.pdf 12. თ.თოფურია (2009). ობიექტურად შეფასეთ მასწავლებელი. გვ. 8-10 <i>მასწავლებელი</i> #1, გვ. 37-40 ხელმისაწვდომია ინტერნეტზე http://issuu.com/tkvintradze/docs/maszavlebeli-1 13. შ. ბურდილაძე. (2009). მასწავლებლის შეფასების სისტემების დანერგვა სკოლებში. <i>მასწავლებელი</i> #1, გვ. 11-14, ხელმისაწვდომია ინტერნეტზე http://issuu.com/tkvintradze/docs/maszavlebeli-1 14. მასწავლებლის შეფასება სკოლაში - გზა პროფესიული ზრდისკენ. <i>მასწავლებელი</i> #1, გ. 15-17, ხელმისაწვდომია ინტერნეტზე http://issuu.com/tkvintradze/docs/maszavlebeli-1
--	--	--	--	------------------------------	---



საგანმანათლებლო პროგრამა

						15.სკოლის მასწავლებლის შეფასების ინდიკატორები <i>მასწავლებელი #1</i> , გვ. 28-29, ხელმისაწვდომია ინტერნეტზე http://issuu.com/tkvintradze/docs/maszavlebeli-1
3	პროექტის მართვა	350131 GEA105	III	არ არის	გოდერძი ბუჩაშვილი, ასოც. პროფ. დოქტ. (განათლება)	მ.სულაბერიძე, პროექტის მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი, 2008
4	სკოლის ადმინისტრირება	350127 GEA101	II	არ არის	ნინო თვალჭრელიძე - დოქტ., ასისტენ-პროფესორი (განათლება) ნინო წერეთელი, მოწვეული ლექტორი	<ol style="list-style-type: none"> ოუენსი, რ. ჯ.; ვალესკი, თ. ს. ორგანიზაციული ქცევა განათლებაში: ლიდერობა და სკოლის რეფორმა. (მე-10 გამოცემა). (ნათარგმნი) ჰოი, უ. კ.; მისკელი, ს. გ. განათლების სფეროს ადმინისტრირება: თეორია, კვლევა და პრაქტიკა. (მე-6 გამოცემა). (ნათარგმნი) გორტონი, რ. ა.; ალსტონი, ჯ. ა.; & სნოუდენი, პ. ი. ლიდერობა და ადმინისტრირება სკოლაში: მნიშვნელოვანი ცნებები, სიტუაციური სავარჯიშოები და სიმულაციები. (მე-7 გამოცემა) (ნათარგმნი) სკოლის მართვის სახელმძღვანელო, თავისუფლების ინსტიტუტი, 2007
5	ზოგადი განათლების ფინანსური საკითხები	350142 GEA116	III	არ არის	თამარ კაკუტია, მოწვეული ლექტორი, დოქტ. (განათლება) მანანა თურქაძე,	<ol style="list-style-type: none"> ჩაჩხიანი ქ. ნარინდოშვილი მ. გოგელია ვ. თუთბერიძე თ. ზურაბიშვილი თ. გაბისონია თ. ბათიაშვილი ა. თურმანიძე ვ. (2007), <i>სკოლის მართვის სახელმძღვანელო</i>, თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი. სკოლის ფინანსური მართვა, სალექციო კონსპექტი.



საგანმანათლებლო პროგრამა

					მოწვეული ლექტორი, მაგისტრი	
6	ზოგადი განათლების საკანონმდებლო ბაზა	350128 GEA102	I	არ არის	მარიამ ბანძელაძე - დოქტ., მოწვეული ლექტორი (განათლება) ნინო ბერელიძე, მოწვეული ლექტორი, მაგისტრი	<ol style="list-style-type: none"> საქართველოს კონსტიტუცია კანონი ზოგადი განათლების შესახებ- http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულება კანონი პროფესიული განათლების შესახებ „საჯარო სამართლის იურიდიული პირი- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ დებულების დამტკიცების შესახებ (ბრძანება #714 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №90/ნ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის დამტკიცების შესახებ მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულებისა და მასწავლებელთა სერტიფიკატების ნიმუშის დამტკიცების შესახებ ბრძანება #1101 საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის შესახებ (ბრძანება საქართველოს მთავრობის განკარგულება N84 ”ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, (2011), პროექტი „უსაფრთხო სკოლის სამოქალაქო მონიტორინგი“ დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2011
7	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და შეფასება ზოგად განათლებაში	35013 4 GEA1 08	II	არ არის	დიანა მჭედლიშვილი - ასოც.	<p>ბრეგვაძე თ. (2009), ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტიტუციური მექანიზმები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p> <p>ჯანაშია ს. (2009), ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა საქართველოში, პოლიტიკის ანგარიში, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი</p>



საგანმანათლებლო პროგრამა

					განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული მიმართულებები
9	ზოგადი განათლების პოლიტიკა და სოციოლოგია	350140 GEA114	III	არ არის	<p>ნიკოლოზ ფარჯანაძე, პროფ. დოქტ. (ფილოლოგია)</p> <p>ლია გუმბერიძე, მოწვეული ლექტორი</p> <ol style="list-style-type: none"> იუნგ პაი. (2010). განათლების კულტურის საფუძვლები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. პაულო ფრეირი. (2005). ჩაგრულთა პედაგოგიკა. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“. იმანუელ კანტი; მიშელ ფუკო. (2012) რა არის განათლება? ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ნილ პოსტმანი. (2007) განათლების მიზანი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ერნსტ გელნერი. (2003). ერები და ნაციონალიზმი. ნეკერი. მაიკლ ფულანი. (2010). საგანმანათლებლო ცვლილებების ახალი მნიშვნელობა.
10	ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	350135 GEA109	I	არ არის	<p>ნინო ბიწვინაშვილი - მოწვეული ლექტორი</p> <p>http://mastsavlebeli.ge/uploads/IT/Book-IST.pdf</p> <p>http://mastsavlebeli.ge/uploads/IT/Book-IST-2-2011-small.pdf</p>
11	ადამიანური რესურსების მართვა	350130 GEA104	II	არ არის	<p>გოდერძი ბუჩაშვილი - ასოცირებული პროფესორი ლექტორი, დოქტ. (განათლება)</p> <ol style="list-style-type: none"> გირტ ჰოფსთედე და გერტ იან ჰოფსთედე (2011) კულტურები და ორგანიზაციები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. ოლეგ ეჯიბაძე. მართვა. გამომცემლობა „ცოტნე“ ლამარა ქოქიაური. (2013). ინტელექტუალური კაპიტალი, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი.



საგანმანათლებლო პროგრამა

						4. საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო, საჯარო სამსახურის ბიურო, თბილისი 2013
12	განათლების ლიდერები და ადმინისტრაციული საკითხები	350138 GEA112	II	არ არის	ნინო წერეთელი, მოწვეული ლექტორი ნინო ბერელიძე, მოწვეული ლექტორი	1. გორტონი, რ., ალსტონი, ჯ., სნოუდენი, პ. (2011). სკოლის ლიდერობა და ადმინისტრირება. (ინგლისურიდან ნათარგმნი)
13	გლობალური განათლება და ქართული განათლების ისტორია	350141 GEA115	III	არ არის	ნინო ბალანჩივაძე - მოწვეული ლექტორი, დოქტორი (განათლება)	<ol style="list-style-type: none"> 1. პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები, რ. ბალანჩივაძე, ვიქტორ ასათიანი, 1997 წელი; 2. პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები, რევაზ ბალანჩივაძე, ვიქტორ ასათიანი, 1997 წელი; 3. პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, ი.ჭკუასელი, თსუ 1986 წელი; 4. პედაგოგიკა, თსუ, თბ. 1994 წელი; 5. პედაგოგიკა, ნათელა ვასაძე თბ. 200 წელი; 6. ლექციების კურსი პედაგოგიკაში, ზურაბ ცუცქერიძე, 1997 წელი, თბილისი 7. პედაგოგიკის ისტორია, ნათელა ვასაძე, თბ. 1998 წელი; 8. ანთროპოლოგიური პედაგოგიკა, რევაზ ბალანჩივაძე, 2011 წელი; 9. ულრიხ ბეკი გლობალიზაცია, ელფის გამომცემლობა, 2003 წ. <p>https://saba.com.ge/books/details/1706</p> <p>10. გლობალიზაცია და ეროვნული იდეოლოგია საქართველოში http://geurasia.org/geo/1330/globalizacia-da-erovnuli-ideologia-saqartveloshi.html,</p> <p>11. ჯოზეფ სტიგლიცი "გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება". http://european.ge/globalizacia/;</p> <p>რევაზ ბალანჩივაძე, გლობალიზაცია, განათლების რეფორმირება და ეროვნული სკოლა. განათლების მატინე, 2015 წ;</p>



საგანმანათლებლო პროგრამა

14	სპეციალური საჭიროებების ბავშვების განათლება	350133 GEA107	I	არ არის	შორება კუჭუხიძე - მოწვეული ლექტორი, დოქტორი (განათლების მეცნიერებები)	<ol style="list-style-type: none"> 1. პაჭკორია თ., ჭინჭარაული თ., და სხვ. (2011) ინკლუზიური განათლება გზამკვლევი მასწავლებელთათვის 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი* 2. გაგოშიძე თ., (2007), ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები, ნეკერი, თბილისი* 3. ვულფოლკი ა. (2009), განათლების ფსიქოლოგია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი
15	ინგლისური ენა განათლების სფეროს პროფესიონალებისათვის	350136 GEA110	I	არ არის	ეკატერინე ფიფია - პროფ. დოქტ. (ჰუმანიტარული მეცნიერებები)	<ol style="list-style-type: none"> 1. Spratt M. (1994), <i>English for the Teacher</i>, A Language Development Course, Cambridge University Press 2. Porter D. (2007), <i>Check your Vocabulary for Academic English</i>, A & C Black Publishers, London
16	განათლების ფსიქოლოგია	350137 GEA111	III	არ არის	ნინო თვალჭრელიძე, ასოც. პროფ. დოქტ. (ჰუმანიტარული მეცნიერებები)	<ol style="list-style-type: none"> 1. იმედაძე ნ., გორგოძე ს., ჯანაშია ნ. (2008), <i>განვითარებისა და სწავლის თეორიები</i>, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი* 2. მელიქიშვილი მ. (2013), <i>მოტივაცია</i>, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი*
17	სამაგისტრო ნაშრომი	350143 GEA117	IV	არ არის	ფაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორი	ლიტერატურის მითითება მოხდება სტუდენტების ინდივიდუალურ ნაშრომებში.



საგანმანათლებლო პროგრამა
